სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**პროგრამის შინაარსი**

| | |
|---|---|
| **პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)** | **საქართველოს ისტორია/History of Georgia** |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)** | სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილი: 60 ECTS კრედიტი<br>**ისტორიის მაგისტრი/ Master of History**<br><br>სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილი: 60 ECTS კრედიტი<br>**კვლევის მაგისტრი ისტორიაში/ Master of Research in History** |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება** | სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილი: 60 ECTS კრედიტი<br>საერთო სავალდებულო სასწავლო კურსები: 15 ECTS კრედიტი<br>მოოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები: 25 ECTS კრედიტი<br>არჩევითი სასწავლო კურსები: 20 ECTS კრედიტი<br><br>მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 60 ECTS სასწავლო კრედიტის დაგროვება.<br><br>სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილი: 60 ECTS კრედიტი<br>საერთო სავალდებულო სასწავლო კურსები: 5 ECTS კრედიტი<br>მოოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები: 15 ECTS კრედიტი<br>არჩევითი სასწავლო კურსები: 10 ECTS კრედიტი<br><br>სამაგისტრო ნაშრომი - 30 ECTS კრედიტი<br><br>კვლევის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 60 ECTS კრედიტის დაგროვება და პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტის (30+30 ECTS კრედიტი) შესრულება. |
| **სწავლების ენა** | ქართული ენა |

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

| | |
|---|---|
| **პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი** | აკადემიკოსი პროფ. ჯაბა სამუშია; ასოცირებული პროფ. ბონდო კუპატაძე; ასოცირებული პროფ. აპოლონ თაბუაშვილი |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | **მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის I ნაწილზე** (60 კრედიტი) სწავლის წინაპირობაა:<br><br>• ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სწავლის ფართო სფეროებში:<br>1. ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები<br>2. სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია<br>3. განათლება; ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი შემავალ კვალიფიკაციებში;<br>• საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;<br>• წერითი გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში;<br>• უცხოური ენის (ინგლისური/ გერმანული/ფრანგული) B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით).<br><br>**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის II ნაწილზე** (60 კრედიტი) სწავლის გაგრძელების უფლება აქვს პროგრამის პირველი ნაწილის კურსდამთავრებულ **ისტორიის** მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს.<br>მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის II ნაწილზე სწავლის გაგრძელების დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. |
| **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი** | ქართული სახელმწიფოს შემდგომი განვითარების გზაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ისტორიის დარგის სპეციალისტების მომზადებას. ვინაიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი წარმოადგენს ქართველოლოგიური კვლევების ერთ-ერთ უმთავრეს ცენტრს, მისი ძირითადი ფუნქცია სწორედ შესაბამისი დარგის სპეციალისტების მომზადებაა. აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის მთავარი ამოცანაა მისცეს მაგისტრატურის მსმენელს ღრმა და სისტემური ცოდნა საქართველოს ისტორიაში, რაც განუვითარებს მეცნიერული ანალიზის უნარს და, ზოგადად, კრიტიკული აზროვნებას. ამას ემსახურება ის სალექციო კურსები, რომლებიც გათვალისწინებულია წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამით. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტები გაივლიან |

| | |
|---|---|
| | საქართველოს ისტორიის წყაროებზე ორიენტირებულ სასწავლო კურსებს, რაც მათ სხვადასხვა საკითხის ახლებურად გააზრებისა და, ზოგადად, ახალი ცოდნის მიღების საშუალებას მისცემს. ამავე დროს, მაგისტრანტები მიიღებენ ცოდნას არა მხოლოდ ლოკალურად საქართველოს ისტორიაში, არამედ შეძლებენ კომპარატივისტული მიდგომებით საქართველოს ისტორიის ევოლუციური პროცესები შეადარონ თანადროულ მსოფლიო ისტორიულ პროცესს და შეაფასონ სხვადასხვა ეპოქაში ინტეგრაციის პროცესი.<br>საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა იყოფა ორ მოდულად: 1. ანტიკური და ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორია; 2. XIX-XXI საუკუნეების საქართველოს ისტორია<br><br>**სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილის** მიზნებია, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, კურსდამთავრებულისთვის საერთაშორისო დონის სტანდარტების ისეთი სისტემური ცოდნის და უნარების მიცემა, რომ მას შეეძლოს:<br>●საისტორიო კვლევის თანამედროვე მეთოდების გათავისება.<br>● საქართველოს ისტორიის სისტემურ დარგობრივ ცოდნაზე დაყრდნობით, ანტიკური და ფეოდალური ხანის /XIX-XXI საუკუნეების საქართველოს ისტორიის (სტუდენტის მიერ არჩეული საპროგრამო მოდულის მიხედვით) საკითხების სამეცნიერო ანალიზი და მოვლენების შეფასება.<br>●ანტიკური და ფეოდალური ხანის /XIX-XXI საუკუნეების საქართველოს ისტორიის (სტუდენტის მიერ არჩეული საპროგრამო მოდულის მიხედვით) ევოლუციური პროცესების შედარება თანადროულ მსოფლიო ისტორიულ განვითარებასთან.<br>●აკადემიური ეთიკის ნორმების დაცვით, ფართო და სტრუქტურალიზებული ისტორიული ნარატივის წერილობითი და ვერბალური პრეზენტაცია<br>●ცოდნის გაცვლა-გავრცელება აკადემიურ და არააკადემიურ საზოგადოებაში, საქართველოს ისტორიის პოპულარიზაცია.<br>●მეცნიერების და აკადემიური თავისუფლების განსაკუთრებული მნიშვნელობის გათავისება სოციალურ ევოლუციაში; თვითშეფასება, საკუთარი და განსხვავებული აზრის პატივისცემა; განსხვავებული კულტურების და, ზოგადად, კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა, საერთო-ევროპული ღირებულებების გათავისება.<br><br>**სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილის** მიზნებია, შრომის ბაზრის და აკადემიური სივრცის მოთხოვნების შესაბამისად, კურსდამთავრებულისთვის საერთაშორისო დონის სტანდარტების ისეთი სისტემური ცოდნის და უნარების მიცემა, რომ მას შეეძლოს:<br>●საისტორიო კვლევის თანამედროვე მეთოდების გათავისება და პრაქტიკაში გამოყენება |

| | |
|---|---|
| | ●ანტიკური და ფეოდალური ხანის/XIX-XXI საუკუნეების საქართველოს ისტორიის (სტუდენტის მიერ არჩეული საპროგრამო მოდულის მიხედვით) მრავალფეროვანი წყაროების გამოყენებით, მათი კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, მცირე მასშტაბის კომპლექსური და მულტიდისციპლინური კვლევის ჩატარება<br>● საქართველოს ისტორიის ღრმა და სისტემურ დარგობრივ ცოდნაზე<br>დაყრდნობით, ანტიკური და ფეოდალური ხანის/XIX-XXI საუკუნეების საქართველოს ისტორიის (სტუდენტის მიერ არჩეული საპროგრამო მოდულის მიხედვით) საკითხების სამეცნიერო ანალიზი და მოვლენების შეფასება<br>●ანტიკური და ფეოდალური ხანის/XIX-XXI საუკუნეების საქართველოს ისტორიის (სტუდენტის მიერ არჩეული საპროგრამო მოდულის მიხედვით) ევოლუციური პროცესების შედარებითი კვლევა თანადროულ მსოფლიო ისტორიულ განვითარებასთან; სხვადასხვა ეპოქაში ევროპის განსხვავებულ საინტეგრაციო ზონებში საქართველოს ადგილის დანახვა<br><br>●ანტიკური და ფეოდალური ხანის/XIX-XXI საუკუნეების საქართველოს ისტორიის სფეროში (სტუდენტის მიერ არჩეული საპროგრამო მოდულის მიხედვით) კვლევის რეალიზაცია; აკადემიური ეთიკის ნორმების დაცვით, ფართო და სტრუქტურალიზებული ისტორიული ნარატივის წერილობითი და ვერბალური პრეზენტაცია<br>●დამოუკიდებელი აკადემიური მუშაობა და მუშაობა აკადემიურ ჯგუფებში; უახლესი სამეცნიერო დარგობრივი ცოდნით აკადემიურ სფეროში საკუთარი წვლილის შეტანა, ცოდნის გაცვლა-გავრცელება აკადემიურ საზოგადოებაში, საქართველოს ისტორიის პოპულარიზაცია<br><br>● მეცნიერებისა და აკადემიური თავისუფლების განსაკუთრებული მნიშვნელობის გათავისება სოციალურ ევოლუციაში; თვითშეფასება, საკუთარი და განსხვავებული აზრის პატივისცემა; განსხვავებული კულტურების და, ზოგადად, კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა, საერთო-ევროპული ღირებულებების გათავისება |
| **სწავლის შედეგები** | თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილის კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების შესაბამისად. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით, ისტორია განეკუთვნება |

| | |
|---|---|
| | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (ენების გარეშე) პროფილის დარგს/სპეციალობას. საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამისკურსდამთავრებულისათვის მისანიჭებელი კვალიფიკაცია „ისტორიის მაგისტრი“ შეესაბამება კვალიფიკაციათა ჩარჩოთი უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისათვის განსაზღვრულ კვალიფიკაციათა კატეგორიას.<br><br>თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამაში ჩართული სასწავლო კომპონენტების ერთობლიობით (სავალდებულო და არჩევითი დისციპლინები) მიზნად დასახული ცოდნა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სამაგისტრო დონის სწავლის შედეგებს უზრუნველყოფს და შესაბამისობაშია ისტორიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის უმაღლესი განათლების II საფეხურისთვისდადგენილ მოთხოვნებთან. პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებით, პროგრამაზედაშვებისწინაპირობა, პროგრამის მიზნები და მისი შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა, კურსდამთავრებულისთვის განსაზღვრული დასაქმების სფეროები, სასწავლო გეგმით (სტრუქტურით) გათვალისწინებული დისციპლინები და მათი სილაბუსები და სხვა დამატებითი ინფორმაცია შედგენილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს კვალიფიკაციათა აღმწერით განსაზღვრული სამაგისტრო დონის შედეგების მიღწევას.<br>საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი შედგება სასწავლო კომპონენტებისგან, რომლებიც, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, მიზნად ისახავს საქართველოს ისტორიის კომპლექსურ და საფუძვლიან შესწავლას. სასწავლო დისციპლინები ითვალისწინებს როგორც ცოდნისა და გაცნობიერების კომპონენტებს, ისე უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას და ერთობლიობაში უზრუნველყოფს პროგრამის მიერ დასახული ერთიანი სწავლის შედეგების მიღწევას.<br>თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმში ჩართულ ყოველ სასწავლო კომპონენტს გააჩნია თსუ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სილაბუსის ნიმუშის შესაბამისი სილაბუსი, რომელშიც ნათლად არის გაწერილი კურსის მიზნები, შედეგები, ამ შედეგების მიღწევის მეთოდები, შეფასების სისტემა, სასწავლო მასალის შინაარსი და თემატიკა. სილაბუსში მოცემულია ინფორმაცია სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის შესახებ, ასევეშუალედურიშეფასებებისადასხვა კრიტერიუმებით შეფასების შესახებ. სამაგისტრო პროგრამის (I მოდული – ანტიკური და |

| | |
|---|---|
| | ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორია, და II მოდული – XIX-XXI საუკუნეების საქართველოს ისტორია) დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: |
| *ა) ცოდნა და გაცნობიერება* | **პროგრამის პირველი ნაწილის კურსდამთავრებული მაგისტრი**<br>• ფლობს საისტორიო კვლევის თანამედროვე მეთოდებს; განასხვავებს მათ სპეციფიკას შესწავლილი საპროგრამო მოდულის (ანტიკური და ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორია, XIX-XXI საუკუნეების საქართველოს ისტორია) მიხედვით, და იყენებსპრაქტიკაში.<br>• მოიძიებს, კითხულობს და კრიტიკულად აანალიზებს ანტიკური და ფეოდალური ხანის/XIX-XXI საუკუნეების საქართველოს ისტორიის (შესწავლილი საპროგრამო მოდულის მიხედვით) ძირითად წყაროებს, აცნობიერებს საისტორიო წყაროების ფალსიფიკაციის და მათზე იდეოლოგიური ზეგავლენის შესაძლებლობას.<br>• მსჯელობს საქართველოს ისტორიული განვითარების პერიპეტიებზე, აფასებს მოვლენებს. |
| *გ) უნარები* | • თავისუფლად ორიენტირებს არქივებში, ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში, იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიურ საშუალებებს მასალის მოძიებისას, ახდენს მოძიებული მასალის სისტემატიზაციას და კომენტირებას, აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს.<br>• ახდენს ისტორიული ტიპის ნარატივის წერილობით და ვერბალურ პრეზენტაციას, ამყარებს ზეპირ კომუნიკაციას ქართულ და ერთ-ერთ საერთაშორისო ენაზე შესაბამისი აკადემიური ტერმინოლოგიის და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.<br>• ხელს უწყობს ისტორიის პოპულარიზაციას.<br>• წარმართავს ლოგიკურ დისკუსიას. |
| *გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა* | • ახდენს სამუშაო დროის რაციონალურ ორგანიზებას, და გუნდური მუშაობის პრინციპის დაცვით – დარგობრივი ცოდნის ადაპტირებას სამუშაოგარემოში.<br>• პატივს სცემს საკუთარ და განსხვავებულ აზრს, განსხვავებულ კულტურებს და, ზოგადად, კულტურულ მემკვიდრეობას.<br>• ითავისებს საერთო-ევროპულ ღირებულებებს, მეცნიერების განსაკუთრებულ მნიშვნელობას სოციალურ ევოლუციაში და აკადემიური ეთიკის პრინციპების დაცვის აუცილებლობას. |
| *ა) ცოდნა და გაცნობიერება* | **პროგრამის მეორე ნაწილის კურსდამთავრებული კვლევის** მაგისტრი<br>• ფლობს და იყენებს საისტორიო კვლევის თანამედროვე |

| | |
|---|---|
| | მეთოდებს; განასხვავებს მათ სპეციფიკას შესწავლილი საპროგრამო მოდულის (ანტიკური და ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორია, XIX-XXI საუკუნეების საქართველოს ისტორია) მიხედვით, და იყენებს პრაქტიკაში.<br>• მოიძიებს, კითხულობს და კრიტიკულად აანალიზებს ანტიკური და ფეოდალური ხანის/XIX-XXI საუკუნეების საქართველოს ისტორიის (შესწავლილი საპროგრამო მოდულის მიხედვით) ქართულენოვან და უცხოენოვან წყაროებს, აცნობიერებს საისტორიო წყაროების ფალსიფიკაციის და მათზე იდეოლოგიური ზეგავლენის შესაძლებლობას; წყაროებზე დაყრდნობით ახორციელებს მცირე მასშტაბის კომპლექსურ და მულტიდისციპლინურ კვლევას.<br>• სიღრმისეულად მსჯელობს საქართველოს ისტორიული განვითარების პერიპეტიებზე, ანტიკური და ფეოდალური ხანის/XIX- XXI საუკუნეების საქართველოს ისტორიას (შესწავლილი საპროგრამო მოდულის მიხედვით) უდარებს მსოფლიო ევოლუციის სქემებს, აფასებს მოვლენებს. |
| *გ) უნარები* | • თავისუფლად ორიენტირებს არქივებში, ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში, იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიურ საშუალებებს მასალის მოძიებისას, ახდენს მოძიებული მასალის სისტემატიზაციას და სამეცნიერო კომენტირებას, აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს.<br>• განსაზღვრავს სამეცნიერო პრობლემას, დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას.<br>• ახდენს ისტორიული ტიპის ნარატივის წერილობით და ვერბალურ პრეზენტაციას, ამყარებს ზეპირ კომუნიკაციას ქართულ და ერთ-ერთ საერთაშორისო ენაზე შესაბამისი აკადემიური ტერმინოლოგიის და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.<br>• ხელს უწყობს ისტორიის პოპულარიზაციას აკადემიურ წრეებში.<br>• წარმართავს ლოგიკურ დისკუსიას. |
| *გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა* | • ავითარებს საკუთარ შესაძლებლობებს, იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს და მათზე პასუხისმგებლობას, ახდენს დროის რაციონალურ ორგანიზებას, და გუნდური მუშაობის პრინციპის დაცვით – დარგობრივი ცოდნის ადაპტირებას სასწავლო თუ სამუშაო გარემოში.<br>• პატივს სცემს საკუთარ და განსხვავებულ აზრს, განსხვავებულ კულტურებს და,ზოგადად,კულტურულ მემკვიდრეობას.<br>• ითავისებს საერთო-ევროპულ ღირებულებებს, მეცნიერების |
| **სწავლება-სწავლის მეთოდები** | სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, შუალედური გამოცდების, პრეზენტაციების, რეფერატისა |

| | |
|---|---|
| | და დასკვნითი გამოცდის ფორმატში იყენებს შემდეგ მეთოდებს:<br>1. ინტერაქტიური ლექცია, ახსნა-განმარტებითი მეთოდი.<br>2. მასალის მოძიება ელექტრონულად ან ბიბლიოთეკაში, ლიტერატურის მიმოხილვა, წიგნზე მუშაობა, სიახლეთა გარჩევა, კრიტიკული ანალიზი.<br>3. წერითი მუშაობის მეთოდი – ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, ესეს შესრულება.<br>4. დემონსტრირების მეთოდი.<br>5. დისკუსია/დებატები.<br>6. ჯგუფური მუშაობა.<br>7. ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი. |
| **შეფასების სისტემა** | **სასწავლო კომპონენტის შეფასების მოქმედი სისტემა გულისხმობს:**<br><br>**ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას –**<br><br>(A) ფრიადი – 91-100 ქულა;<br>(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;<br>(C) კარგი – 71-80 ქულა;<br>(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;<br>(E) საკმარისი – 51-60 ქულა.<br><br>**ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას –**<br><br>(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა (აღნიშნული შეფასება სტუდენტს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლებას აძლევს; 41-50 ქულა, თავის მხრივ, მოწმობს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება, რაც მან დამოუკიდებლად, ლექტორის დაუხმარებლად უნდა შეძლოს).<br>(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები (აღნიშნული შეფასება მოწმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანის გავლა ხელმეორედ მოუწევს).<br><br>**FX-ის მიღების შემთხვევაში** დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არაუადრეს 5 დღისა.<br>დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა.<br>დამატებით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა (და არა დასკვნითი გამოცდის ქულები) ემატება გამოცდამდე დაგროვილ ქულათა რაოდენობას და ორივე ერთად ქმნის კურსის საბოლოო შეფასებას. |

| | |
|---|---|
| | დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: სტუდენტს სემესტრის განმავლობაში დაგროვილი უნდა ჰქონდეს არანაკლებ **21** ქულისა.<br>გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდნტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების ნახევარს.<br><br>თუ კურსის საბოლოო შეფასება 50-ს არ აღემატება (0-50 ქულაა), ფორმდება F– 0 ქულა. შესაბამისად, სასწავლო კურსის საბოლოო მინიმალური დადებითი შეფასება 51 ქულაა.<br><br>ერთი და იმავე სავალდებულო საგანში სამჯერ F შეფასების მიღება წარმოადგენს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს. ამ შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს მობილობით.<br><br>კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება საჯარო დაცვაზე, სადაც მაგისტრანტი დაიშვება ნაშრომის წინასწარი დაცვის წარმატებით გავლის, სამეცნიერო ხელმძღვანელის სათანადო დასკვნისა და სამაგისტრო ნაშრომის Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით გატარების შემდეგ.<br>სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილია დარგის სპეციალისტის რეცენზია (მაქს. 60 ქულიდან მინიმუმ 31 ქულის მიღების გარეშე საჯარო დაცვაზე მაგისტრანტი პრეზენტაციით ვერ წარსდგება) და მაგისტრანტის მიერ კვლევის შედეგების ზეპირი პრეზენტაცია დაცვის კომისიის წინაშე (მაქს. 40 ქულიდან მინიმუმ 20 ქულის მიღება აუცილებელია). სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასება წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის შეფასების ჯამს.<br>სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება, თუ მის მიერ მიღებული საბოლოო შეფასება 51 ან მეტი ქულის ტოლია.<br>სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია. |
| **დასაქმების სფეროები** | სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულ მაგისტრს შეუძლია დასაქმდეს ზოგადსაგანმანათლებლო (საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დამატებითი მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში), პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საჯარო სამსახურში, საზოგადოებრივ სექტორში; სხვადასხვა პროფილის სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, ფონდები, ბიბლიოთეკები, საჯარო სამსახური, ადგილობრივი, რეგიონული ადმინისტრაციები, კვლევითი ინსტიტუტები, არქივები, მუზეუმები, განათლების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ტურიზმისა და მასმედიის სფერო, |

| | |
|---|---|
| | გამომცემლობები და სხვა.<br>ისტორიის კვლევის მაგისტრს უფლება ეძლევა, სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში. |
| **სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის** | - საქართველოს მოქალაქის სწავლას სრულად აფინანსებს სახელმწიფო;<br>- სხვა პირის სწავლის სახელმწიფოს მიერ დაფინანსების წესსა და პირობებს ადგენს საქართველოს მთავრობა. |
| **პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი** | საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ: უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (პროფესორები, ასოცირებული პროფესორები და ასისტენტ-პროფესორები), შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორები და მკვლევრები. ყველა სასწავლო კურსს უძღვება დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, მრავალი სამეცნიერო პუბლიკაციის თუ სახელმძღვანელოს ავტორი.<br><br>ისინი უძღვებიან პირველი და მეორე ნაწილის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს და მეორე ნაწილის კვლევით კომპონენტს.<br><br>აფილირებული აკადემიური პერსონალი:<br><br>აკად. პროფ. ჯ. სამუშია<br>პროფ. მ. ჩხარტიშვილი<br>ასოც. პროფ. დ. შველიძე<br>ასოც. პროფ. მ. ბახტაძე<br>ასოც. პროფ. ა. თაბუაშვილი<br>ასოც. პროფ. ქ. ნადირაძე<br>ასოც. პროფ. ბ. კუპატაძე<br>ასოც. პროფ. ნ. ჯავახიშვილი<br>ასისტ. პროფ. ლ. თავაძე<br>ასისტ. პროფ. ნ. ფიფია<br>ასისტ. პროფ. ა. ბოშიშვილი<br><br>მოწვეული ლექტორები:<br>ისტ. დოქტ. ა. ჩიქობავა<br>ისტ. დოქტ. ე. ავდალიანი<br>ისტ. დოქტ. ქ. ქუთათელაძე<br><br>საქართველოს ისტორიის სამაგისტრო გათვალისწინებული კურსების სწავლება ხორციელდება თსუ I კორპუსში (ი. ჭავჭავაძის გამზ. №1) და VIII კორპუსში (ი. ჭავჭავაძის გამზ. №13). აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. რაც |

| | |
|---|---|
| | შეეხება საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ის მდებარეობს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში (თსუ მერვე კორპუსი, აუდ. 213 და 214).<br>საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია როგორც თსუ ცენტრალური, ისე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკები; ასევე საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის წიგნადი ფონდი; უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის კომპიუტერული რესურს-ცენტრები. უნივერსიტეტს გამოწერილი აქვს მრავალი ელექტრონული რესურსი, რომლებითაც სარგებლობა შესაძლებელია როგორც თსუ-ს კომპიუტერებიდან, ისე თსუ-ს გარედან, საუნივერსიტეტო ელფოსტის გამოყენებით.<br>ადამიანური და მატერიალური რესურსიდან გამომდინარე, პროგრამაზე შესაძლებელია 20-30 სტუდენტის მიღება. |
| **პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა** | პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამეცნიერო და საგანმანთლებლო ღონისძიებების ჩატარებას. |
| **დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)** | საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამას ემსახურება<br>მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რომელსაც გააჩნია ფართო საერთაშორისო კავშირები. პროფესორები სისტემატურად იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებში. მათ გააჩნიათ მრავალი პუბლიკაცია, მათ შორის, უცხოურ ჟურნალებში. არსებობს მჭიდრო თანამშრომლობა მთელ რიგ უცხოურ კვლევით ცენტრებთან. ყოველივე ეს უზრუნველყოფს სწავლების მაღალ სტანდარტს. |